# გადაწყვეტილება

პენსილვანიის საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების

წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ

წარმომადგენელი: გენადი გუდაძე

ქვეყანა: საქართველო

დანიშვნის თარიღი: 19 აგვისტო 2003

OFFICIAL TRANSLATOR
EKATERINE MELIKIDZE
A №09625 Reg. №01/90
ეკატერინე მელიქიძე
ოფიციალური მთარგმნელი

ამერიკის შეერთებული შტატები,
ნიუ-იორკის შტატი,
კინგსის ოლქი,
ქ. ნიუ-იორკი,
ბრუკლინის რაიონი:

მოგესალმებით ყველას, ვინც მიიღებს ამ საბუთს!

საგუშაგო კომპანია

რადგანაც ქვემოთ ხელისმომწერი პენსილვანიის საგუშაგო კოშკის ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოება, შემდგომში საგუშაგო კოშკი, წარმოადგენს კორპორაციას, რომელიც შექმნილია და არსებობს არაკომერციული კორპორაციული კანონების თანახმად პენსილვანიის შტატში, ამერეკის შეერთებულ შტატებში, რომლის ძირითადი ოფისი მდებარეობს ბრუკლინში, ქალაქ ნიუ-იორკში და ნიუ-იორკის შტატში; და

საწესდებო მიზნები

საგუშაგო კოშკი კანონის თანახმად სათანადოდ უფლებამოსილია უქადაგოს და ასწავლოს ყველა ერს სახარება ღმერთის სამეფოს შესახებ იესო ქრისტეს მმართველობის ქვეშ, რათა დაამოწმოს ყოვლისშემძლე იეჰოვა ღმერთის სახელი, სიტყვა და უზენაესობა, აგრეთვე იმოქმედოს, როგორც იეჰოვას მოწმეებად ცნობილი ქრისტიან პიროვნებათა რელიგიური მსახური და იურიდიული პირი, რაც უფრო დეტალურად აღწერილია დებულებაში, რომელიც თან ერთვის ამ დოკუმენტს და მისი ნაწილია; და

ახლა გვსურს ყველასთვის ცნობილი იყოს, რომ საგუშაგო კოშკი, რომელიც სათანადოდ აღიარებულია პენსილვანიის შტატის (ამერიკის შეერთებული შტატები) კანონებით როგორც იეჰოვას მოწმეთა მსახური და იურიდიული პირი და როგორც ასეთს გააჩნია უფლებები და პრივილეგიები, რომლებიც ყველა სხვა კორპორაციას და რელიგიურ ორგანიზაციას და მიმდინარეობას გააჩნია, ამდენად წარადგენს, ადგენს და ნიშნავს

გენადი გუდამეს

ახალი წარმომადგენლის სახელი

მოქალაქეობა და ეროვნება: საქართველო

მცხოვრები: ჯავის I შესახვევი №9

თბილისი, საქართველო



როგორც მისი ნამდვილი და კანონიერი წარმომადგენელი დ
რწმუნებული, იმოქმედოს მისთვის და მისი სახელით და მი
ნაცვლად საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის, რაიონის
ოლქის, პროვინციის, ქვედანაყოფის და შტატის წინაშე ქვემოთ
აღწერილი მიზნების განსახორციელებლად და მინიჭებული
უფლებამოსილების ფარგლებში.

ერთი. წარმოადგინოს საგუშაგო კოშკი და საერთოდ აწარმოოს
მისი საქმიანობა და ხელი შეუწყოს მის მიზნებს აღნიშნულ
ქვეყანაში. ამდენად, აღნიშნულ წარმომადგენელს და
რწმუნებულს ეძლევა სრული უფლება და უფლებამოსილება
ისევე სრულად შეასრულოს ნებისმიერი ქმედება და საქმიანობა
ყველა განზრახვითა და მიზნით, რაც საჭირო და აუცილებელი
იქნება მიზნების მისაღწევად, როგორც ამის გაკეთებას შეძლებდა
საგუშაგო კოშკი და მისი ხელმძღვანელები პირადად, რომ
ყოფილიყვნენ აღნიშნულ ქვეყანაში. საგუშაგო კოშკის მიზანია ამ
დოკუმენტით მისცეს აღნიშნულ წარმომადგენელს სრული
მინდობილობა, რამდენადაც შესაძლებელია, რომ შეასრულოს
საზოგადოების ქვემოთ აღწერილი მიზნები და კონკრეტული
განზრახვები და ეს დოკუმენტი არანაირად არ ისახავს მიზნად,
რომ აღნიშნულ წარმომადგენელს რამეში შეუზღუდოს ან
შეუწყვიტოს ეს სრული მინდობილობა და მისთვის მინიჭებული
რწმუნებულება, გარდა იმ პუნქტებისა, შემდგომში საგუშაგო
კოშკის პრეზიდენტის მიერ მელნით გადახაზული და მის მიერ
ინიციალებ დასმული, რომელიც ნიშნავს რწმუნებულისა და
მინდობილობით მოქმედ პირისათვის ყველა და ან რაიმე
უფლებამოსილების ჩამორთმევას შესაბამის პუნქტებთან
დაკავშირებით

ძირითადი საქმიანობა

ორი. ხსენებული რწმუნებული და წარმომადგენელი
უფლებამოსილია საგუშაგო კოშკის მიერ იმოქმედოს, როგორც
ქრისტიანობის თავმჯდომარე მსახურმა ხსენებულ ქვეყანაში და
ამ ქვეყნისთვის და იგი ამ რწმუნებულებით უფლებამოსილია
განახორციელოს იეჰოვას მოწმეთა სასულიერო ხელმძღვანელი
საბჭოს მითითებები, რადგან ეს მითითებები ეხება საგუშაგო
კოშკის საქმიანობას ხსენებულ ქვეყანაში და ქრისტიანთა იმ
ჯგუფს, რომლებიც ხსენებულ ქვეყანაში ცნობილი არიან როგორც
იეჰოვას მოწმეები, ეს მოიცავს შემდეგ უფლებამოსილებას: ეწვიოს
და შეამოწმოს იეჰოვას მოწმეთა ნებისმიერი კრების საქმიანობა და
დანიშნოს სხვა პირები, რომლებიც მის ნაცვლად იმოქმედებენ და
მის ნაცვლად ეწვევიან და შეამოწმებენ ნებისმიერი ასეთი კრების
საქმიანობას; დანიშნოს მსახურები, ზედამხედველები და
წარმომადგენლები იეჰოვას მოწმეთა ნებისმიერ კრებაში იეჰოვას
მოწმეთა ყველა რელიგიური რიტუალისა და ცერემონიის სრული
უფლებამოსილებით შესასრულებლად, მათ შორის დაკრძალვის,

სასულიერო საქმიანობა

OFFICIAL TRANSLATOR
EKATERINE MELIKIDZE
A №09625 Reg. №01/90
ეკატერინე მელიქიძე
ოფიციალური მთარგმნელი

ე. მელიქიძე

ნათლობის, უფლის სერობისა და ქორწინების ცერემონიები; გადააყენოს და გაათავისუფლოს ნებისმიერი მსახური და წარმომადგენელი ნებისმიერი პასუხისმგებლობისგან ან დანიშნულებისგან ნებისმიერ ასეთ კრებაში; და იეჰოვას მოწმეთა სასულიერო ხელმძღვანელი საბჭოს მითითებების ქვეშ მოქმედებით უფლებამოსილებით აღჭურვოს და დანიშნოს ნებისმიერი სხვა მსახური, რომელიც უფლებამოსილებით აღჭურავს და დანიშნავს ნებისმიერ პირს, როგორც იესო ქრისტეს მმართველობის ქვეშ ყოვლისშემძლე ღმერთის სამეფოს შესახებ სახარების მსახურს და როგორც იეჰოვას მოწმეებად ცნობილი ქრისტიანთა ჯგუფის მსახურს ხსენებულ ქვეყანაში, სრული უფლებამოსილებით შეასრულოს იეჰოვას მოწმეთა რელიგიის ცერემონიები, მათ შორის დაკრძალვის, ნათლობის, უფლის სერობის და ქორწინების ცერემონიები; ხსენებულ რწმუნებულს და წარმომადგენელს მინიჭებული აქვს შეუზღუდავი უფლებამოსილება დანიშნოს პირები, რომლებიც იმოქმედებენ, როგორც მისი მოადგილეები, უფლებით უფლებამოსილებით აღჭურვონ და დანიშნონ მის ნაცვლად სხვა პირები, როგორც იეჰოვას მოწმეთა ხსენებული სახარების მსახური ხსენებულ ქვეყანაში სრული უფლებით შეასრულოს იეჰოვას მოწმეთა რელიგიის ცერემონიები, მათ შორის დაკრძალვის, ნათლობის, უფლის სერობის და ქორწინების ცერემონიები. ხსენებული წარმომადგენელი საგუშაგო კოშკის მიერ ასევე უფლებამოსილია შეასრულოს ქორწინება და ქორწინების რიტუალი იმ პირთა შორის, ვისი ქორწინებაც ნებადართულია ხსენებული ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობით და დაამოწმოს ხსენებული რიტუალების და ცერემონიების შესრულება და ის, რომ ქორწინება რეგისტრირებულია მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში. ხსენებული რწმუნებული და წარმომადგენელი ასევე უფლებამოსილია მიმართოს ხსენებული ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებს ნებართვისთვის, სადაც შესაძლოა კანონი ითხოვდეს ამას, რათა მიიღოს სახელმწიფო ორგანოსგან ლიცენზია, რომელიც მიანიჭებს უფლებამოსილებას მას და იეჰოვას მოწმეთა სხვა მსგავს მსახურს ხსენებულ ქვეყანაში შეასრულოს ქორწინების ცერემონია. იგი ასევე უფლებამოსილია მის მიერ დანიშნული ან უფლებამოსილი ასეთი მსახურები აღჭურვოს უფლებამოსილებით მიმართონ ხსენებული ქვეყნის ხელისუფლების სახელმწიფო ან ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს, რათა მიიღონ ნებართვა, როგორც ღვთის მსახურმა შეასრულონ ქორწინების ცერემონია ან რიტუალი, თუ კი ან სადაც ასეთ ნებართვას მოითხოვს კანონი. იგი ასევე უფლებამოსილია აღჭურვოს იეჰოვას მოწმეთა მსახურები (რომლებიც დანიშნულები ან უფლებამოსილნი არიან შეასრულონ ქორწინების ცერემონია) განსაკუთრებული უფლებამოსილებით, გასცენ სერტიფიკატი ან მოამზადონ ანგარიში ქორწინების

OFFICIAL TRANSLATOR
EKATERINE MELIKIDZE
A № 09625 Reg. № 01/90
ეკატერინე მელიქიძე
ოფიციალური მთარგმნელი

ნებართვაზე, რითაც დაადასტურებენ, რომ ხსენებული ქორწინების ცერემონია ან რიტუალი, შესრულებული ხსენებული მსახურის მიერ დასრულებულია და ასევე შეიტანონ ხსენებული სერტიფიკატი ან ანგარიში შესაბამის ორგანოში, მოქალაქეთა რეგისტრაციის ორგონოში, რომელიც ხსენებულ ქვეყანაში უფლებამოსილია მიიღოს და შეიტანოს ქორწინების ნებართვები, როგორც ამას კანონი მოითხოვს.

ვალების შეგროვება

სამი. მოითხოვოს, აღძრას სარჩელი, გადაახდევინოს გადასახადები და მიიღოს ყველა ფულადი თანხა, ფულადი გარანტიები, ვალები, იჯარა, ნივთები, უძრავი და მოძრავი ქონება და პირადი საკუთრება, რომელსაც საგუშაგო კოშკი ან ამჟამად ან შესაძლოა მომავალში ფლობდეს ან უფლებამოსილი იყოს მასზე, ან რომელიც ამჟამად არის ან შესაძლოა შემდგომში გახდეს მფლობელი, საკუთრებაში მქონე, გადასახდელი ან გადასაცემი საგუშაგო კოშკის ნებისმიერ ანგარიშზე, უფლებით მიიღოს ასეთი თანხა ან მისი ნებისმიერი ნაწილი ამისგან დაზღვეული ან დაუზღვეველი მანამდე, იგივე უნდა იყოს ამჟამად დროული და გადამხდელი ან გადაავადოს დრო ასეთი სახსრების გადასახდელად.

ქვითრების გაცემა

ოთხი. გასცეს ნამდვილი და ფაქტობრივი ქვითრები ყველა თანხებზე და პირად საკუთრებაზე, რომელიც შესაძლოა ხსენებული რწმუნებულის ხელთ იყოს ამ დოკუმენტის წყალობით და ეს ქვითრები გაათავისუფლებენ იგივესგან გადამხდელ ან გადამცემ პიროვნებას, ფირმას ან კორპორაციას, გაათავისუფლებენ და გაამართლებენ განცხადების მეთვალყურეობისაგან ან პასუხისმგებლობისგან დანაკარგის ან არასწორად გამოყენების შემთხვევაში.

სასამართლოში გამოსვლა

ხუთი. დაიწყოს, იდავოს სასამართლო წესით და აიძულოს, ან დაიცვას, უპასუხოს ან უარყოს ყველა სარჩელი და სხვა იურიდიული ან მიუკერძოებელი პროცესი და მოთხოვნა, რომელიც ეხება ნებისმიერ საქმეს, რომლითაც საგუშაგო კოშკი დაინტერესებულია ამჟამად ან შესაძლოა მომავალში დაინტერესდეს და ასევე თუ ხსენებული რწმუნებული ჩათვლის, რომ საჭიროა კომპრომისზე წასვლა, არბიტრაჟისთვის მიმართვა, სარჩელზე უარის თქმა, გადაწყვეტილებისთვის დამორჩილება ან არასათანადო პირად ცნობა ნებისმიერ ასეთ საქმეში ან პროცესში, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი.

საგუშაგო კოშკის სახელით გამოსვლა

ექვსი. აღძრას და იდავოს სასამართლო წესით ან დაიცვას ყველა ან ნებისმიერი სარჩელი ან სხვა პროცესები სასამართლოებში ნებისმიერ ხსენებულ ქალაქსა თუ ადგილას საგუშაგო კოშკის ინტერესების დასაცავად, რომლებიც დაკავშირებულია საგუშაგო კოშკთან ან საგუშაგო კოშკის მიზნების განხორციელებასთან

OFFICIAL TRANSLATOR
EKATERINE MELIKIDZE
A №09625 Reg. №01/90
ეკატერინე მელიქიძე
ოფიციალური თარჯიმანი

წამოიჭრება.

იურიდიული მრჩეველის დაქირავება

შვიდი. წარსდგეს და წარმოადგინოს საგუშაგო კომკი ნებისმიერ სასამართლოში ნებისმიერ ხსენებულ ქალაქსა თუ ადგილას ზემოხსენებული მიზნების ან მათგან ნებისმიერის განსახორციელებლად, დანიშნოს ნებისმიერი ადვოკატი ან იურიდიული მრჩეველი საჭირო უფლებამოსილებით და თავისი შეხედულებისამებრ გადააყენოს იგი და დანიშნოს მის ნაცვლად სხვები.

მორიგება და დავების გადაწყვეტა

რვა. მოაგვაროს, შეათანხმოს, კომპრომისზე წავიდეს ან წარუდგინოს არბიტრაჟს ნებისმიერი ანგარიშები, ვალები, სარჩელები და მოთხოვნები, დავები და საქმეები, რომლებიც ამჟამად ან შესაძლოა მომავალში გახდეს სადავო საგუშაგო კომკსა და ნებისმიერ სხვა პირს ან პირებს, ფირმას ან ფირმებს, კორპორაციას ან კორპორაციებს შორის ან ხსენებულ რწმუნებულს და ნებისმიერ სხვა პირს ან პირებს, ფირმას ან ფირმებს, კორპორაციას ან კორპორაციებს შორის.

არბიტრაჟისთვის მიმართვა

ცხრა. გადასცეს განსახილველად ან არბიტრაჟისთვის ნებისმიერი უთანხმოება ან დავა, რომელიც ნებისმიერ დროს წარმოშვება, დამოკიდებულებაში იქნება ან იარსებებს საგუშაგო კომკსა და ნებისმიერ პირს, ფირმას თუ კორპორაციას შორის ნებისმიერ ხსენებულ ქალაქსა თუ ადგილას და დაკავშირებული იქნება ნებისმიერ დავასთან თუ საქმესთან და ამ მიზნით ხელი მოაწეროს, ბეჭედი დაუსვას, აღასრულოს, მიიტანოს ყველა წერილობითი საბუთი, რომელიც შესაძლოა მოითხოვონ ან საჭირო იყოს და წარმოადგინოს სასამართლო გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილებები, რომლებიც შესაძლოა გამოტანილ იქნას ამის შესაბამისად.

საგუშაგო კომკისადმი ერთიანი ვალები

ათი. შეათანხმოს და მიიღოს მთლიანი ვალი ან დათანხმდეს კომპრომისზე წავიდეს ნებისმიერ ვალზე ან ფულად თანხაზე, რომელიც ამჟამად ან მომავალში უნდა გადახდილი იქნეს საგუშაგო კომკის სასარგებლოდ ან ნებისმიერი დავა და მოთხოვნა, რომელიც საგუშაგო კომკს გააჩნია ან შესაძლოა გააჩნდეს ნებისმიერი პირის ან პირების, ფირმის ან ფირმების, კორპორაციის ან კორპორაციების წინააღმდეგ, ან დაეთანხმოს თანხის გადახდისთვის ვადის გაგრძელებას სათანადო პირობებით, გარანტიით ან შესაძლოა გარანტიის გარეშე, ან სხვაგვარად იმოქმედოს, სათანადო პატივისცემით, როგორც ხსენებულ რწმუნებულს მიზანშეწონილად მიაჩნია.

თერთმეტი. იმოქმედოს საგუშაგო კომკის სახელით ყველა საქმეში, რომელიც გამომდინარეობს გადახდის უუნაროობის ან გაკოტრების ან კრედიტორებთან ან სხვა პირთან ან პირებთან

OFFICIAL TRANSLATOR
EKATERINE MELIKIDZE
A № 09625 Reg. № 01/90
ეკატერინე მელიქიძე
ოფიციალური მთარგმნელი

არსებული ნებისმიერი შეთანხმებიდან, რომლებსაც რაიმე დავალიანება და პასუხისმგებლობა გააჩნიათ საგუშაგო კოშკის წინაშე ან ასეთზე ედავებიან, ან ნებისმიერი კომპანია, რომელსაც რაიმე დავალიანება ან პასუხისმგებლობა გააჩნიათ ამჟამად ან შემდგომში დაეკისრებათ საგუშაგო კოშკის წინაშე ან ასეთზე ედავებიან ნებისმიერ პირს ან პირებს ან ნებისმიერ კომპანიას

გაკოტრების საქმეთა სასამართლოში გამოსვლა

დაუმტკიცდეთ მათ ნებისმიერი ვალი ახლა ან შემდგომში საგუშაგო კოშკის წინაშე, პირის ან პირების მიერ, მათი გაკოტრების გამო, ან პირების ან რომელიმე კომპანიას და ხმა მისცეს ნებისმიერ შეხვედრაზე ან კრედიტორთა შეხვედრაზე და მიიღოს და გაათავისუფლოს ნებისმიერი დივიდენტებისგან, რომლებიც ამჟამად ან მომავალში გადახდილი უნდა იქნეს საგუშაგო კოშკის სასარგებლოდ.

სპეციალური გაერთიანებული პუნქტი

თორმეტი., დადოს გარიგებები, მოაგვაროს, აწარმოოს და შეასრულოს ნებისმიერი და ყველა საჭირო საქმიანი საკითხები, რაც მოითხოვება და აუცილებელია და ნებისმიერი სახით დაკავშირებულია ან ეხება საგუშაგო კოშკის საქმიანობას ხსენებულ ქვეყანაში და ამ მიზნისთვის განახორციელოს ყველა ასეთი გაყიდვა, ყიდვა, შეთანხმება და გარიგება, და დაიქერაოს და გაათავისუფლოს ასეთი მსახურები, როგორც ამას საჭიროდ და მიზანშეწონილად ჩათვლის ხსენებული რწმუნებული.

საბანკო საქმიანობა

ცამეტი. გახსნას ნებისმიერი ანგარიში ან ანგარიშები ნებისმიერ ბანკში ან ბანკებში, რომლებიც საქმიანობას ეწევიან ხსენებული ქვეყნის ნებისმიერ შტატში, პროვინციაში, რაიონსა ან ქალაქში და მართოს ყველა არსებული და ჩვეულებრივი წესით ნებისმიერი ასეთი ანგარიში ან ანგარიშები ან ნებისმიერი ასეთი ანგარიში ან ანგარიშები, რომლებიც ამჟამად უკვე გახსნილი აქვს საგუშაგო კოშკს.

კომერციული სახუთების ხელმოწერა

თოთხმეტი. ხელი მოაწეროს, შეადგინოს, მოახდინოს ინდოსირება ან მოლაპარაკება აწარმოოს საგუშაგო კოშკისთვის და მისი სახელით ნებისმიერი თამასუქის ან თამასუქების, ბრძანების ან ბრძანებების, საბანკო ან სხვა ჩეკს ან ჩეკებს, ვალდებულებას ან ვალდებულებებს, გადასაყვან თამასუქს ან თამასუქებს, კონოსამენტს ან კონოსამენტებს და სხვა მსგავს დოკუმენტებს, როგორც ხსენებული რწმუნებული ჩათვლის სათანადოდ.

უძრავი ქონების გაყიდვა

თხუთმეტი. მიყიდოს ნებისმიერ პირს ან პირებს, კორპორაციას ან კორპორაციებს, ყველა ან ნებისმიერი მიწა ან უძრავი ქონება, რომელიც ამჟამად იქნება საგუშაგო კოშკის საკუთრება ან შემდგომში.

თექვსმეტი. დატვირთოს იპოთეკით ყველა ან ნებისმიერი ასეთი

OFFICIAL TRANSLATOR
EKATERINE MELIKIDZE
A №09625 Reg. №01/90
ეკატერინე მელიქიძე
ოფიციალური მთარგმნელი

მიწა ნებისმიერი თანხით ან თანხებით და პროცენტის ნებისმიერი განაკვეთით, როგორც ხსენებული რწმუნებული ჩათვლის საჭიროდ; ასევე გასცეს იჯარით ყველა ან ნებისმიერი ნაწილი ასეთი მიწებისა ისეთი პირობით ან პირობებით და ისეთი საიჯარო გადასახადით, როგორც ხსენებული რწმუნებული ჩათვლის საჭიროდ და მიიღოს ასეთი საიჯარო გადასახადები და დააწესოს ისეთი ნებართვები და აკრძალვები მოიჯარეთათვის, როგორც ხსენებული რწმუნებული ჩათვლის საჭიროდ და ასევე, საჭიროების შემთხვევაში ყადაღა დაადოს ასეთი საიჯარო გადასახადებისთვის ან ნებისმიერ ნაწილს, და ასევე საგუშაგო კოშკისთვის და მისი სახელით იმოქმედოს რათა მართოს ნებისმიერი იჯარა ან იპოთეკა, რომელზეც საგუშაგო კოშკი ამჟამად არის ან ნებისმიერ დროს იქნება რეგისტრირებული როგორც მესაკუთრე, მარტოდ ან ნებისმიერ სხვა პირთან ან პირებთან, კორპორაციასთან ან კორპორაციებთან ერთად, ისე, როგორც ამას საგუშაგო კოშკი გააკეთებდა და ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რაც საჭირო იქნება ასეთი საქმიანობის განსახორციელებლად.

უძრავი ქონების იპოთეკა და გაქირავება

ჩვიდმეტი. მოამზადოს და ხელი მოაწეროს ქონებისა და საშემოსავლო ყველა საჭირო გადასახადს, რომელიც საგუშაგო კოშკს შესაძლოა დრო და დრო გადასახდელი ჰქონდეს ზემოხსენებული ქვეყნისთვის, ან მისი ნებისმიერი შტატის ან პროვინციისთვის და მოამზადოს და წარადგინოს სარჩელი ან შენიშვნა გადასახადებთან დაკავშირებით, როგორც ამას რწმუნებული ჩათვლის საჭიროდ და განაგრძოს და განახორციელოს დავა ასეთ უარყოფაზე ან კომპრომისით დაასრულოს მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებულია ამ საკითხთან.

გადასახადები და შეღავათების მოთხოვნა

თვრამეტი. მოამზადოს და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს, რომელზეც საგუშაგო კოშკი შესაძლოა დრო და დრო ვალდებული გახდეს ხსენებული ქვეყნის ან მისი ნებისმიერი შტატის, ზონის ან პროვინციის წინაშე, როგორც ამას რწმუნებული ჩათვლის საჭიროდ და ხსენებული ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლების ან ქვეგანყოფილებების მოთხოვნის თანახმად მოამზადოს და შეიტანოს ნებისმიერი ასეთი დოკუმენტი.

იურიდიული დოკუმენტების ხელმოწერა

ცხრამეტი. საგუშაგო კოშკისთვის და მისი სახელით აღასრულოს, ხელი მოაწეროს და დაადასტუროს ყველა სხვა ნებისმიერი დოკუმენტი და ასეთი სხვა საბუთი და აქტი, რაც საჭირო იქნება მისი დანიშნულების მიზნების კანონიერად შესასრულებლად, როგორც ამას საჭიროდ და სათანადოდ მიიჩნევს რწმუნებული.

სხვა დოკუმენტების ხელმოწერა

ოცი. იყიდოს და მიიღოს ნებისმიერი მიწა ან მიწები ნებისმიერ

OFFICIAL TRANSLATOR
EKATERINE MELIKIDZE
A.P. 01616 No 01/90
ეკატერინე მელიქიძე

შენება

დროს, როდესაც რწმუნებული ჩათვლის აუცილებლად ან საჭიროდ საგუშაგო კომპანიის მიზნებისთვის.

უძრავი ქონების დოკუმენტების ხელმოწერა

ოცდაერთი. ზემოთ ხსენებული მიზნების მისაღწევად საგუშაგო კომპანიისთვის და მისი სახელით აღასრულოს, ხელი მოაწეროს, შეიყვანოს მალაში, დაადასტუროს, სრულყოს და დადოს ყველა ასეთი ხელშეკრულება, კონტრაქტი, დოკუმენტი, გადარიცხვა, აქტი, ქონების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი, იპოთეკა, იჯარა, დავალიანების უზრუნველყოფის გარანტია და სხვა ასეთი დოკუმენტები, აქტები და საბუთები, რომლებიც შესაძლოა მოთხოვნილი იყოს, ან როგორც ამას საჭიროდ და სათანადოთ მიიჩნევს ხსენებული რწმუნებული.

კანონიერი უფლებამოსილება მიწის გადაცემაზე

ოცდაორი. და ასევე შეადგინოს და განახორციელოს ყველა ქმედება, რაც საჭირო იქნება ან რაც მოთხოვნილი იქნება ნებისმიერი დადგენილებით უძრავ ქონებასა და მიწის გადაცემასთან დაკავშირებით ხსენებულ ქვეყანაში, მათ შორის განცხადებების შეტანა რეესტრში, რათა ნებისმიერი მიწა ან ნებისმიერი ქონება იყოს შესაბამისობაში ნებისმიერ ასეთ დადგენილებასთან, როგორც ხსენებულ რწმუნებულს სათანადოდ მიაჩნია.

საერთო პუნქტი უძრავ ქონებასა და კერძო ქონებასთან დაკავშირებით

ოცდასამი. საერთოდ და განუსაზღვრელად, ზემოხსენებული განსაკუთრებული უფლებამოსილებით იმოქმედოს, როგორც საგუშაგო კომპანიის ფაქტიურმა რწმუნებულმა და წარმომადგენელმა ხსენებულ ქვეყანაში უძრავ და კერძო ქონებასთან დაკავშირებით ხსენებულ ქვეყანაში, რომელიც შესაძლოა საგუშაგო კომპანიის ინტერესს ან საზრუნავს წარმოადგენს, მისი სახელით შეასრულოს და შეადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი, აქტი, საქმე და საკითხი და ხელი მოაწეროს ყველა დოკუმენტს, რაზეც მოლაპარაკებები მიმდინარეობს, საჭიროების და მოთხოვნილების შესაბამისად.

მოადგილეების დანიშვნა

ოცდაოთხი. დრო და დრო დანიშნოს მოადგილე ან მოადგილეები სრული ან რომელიმე ზემოხსენებული უფლებამოსილებით და გადააყენოს შეხედულებისამებრ ასეთი მოადგილე ან მოადგილეები და დანიშნოს სხვა ან სხვები.

რატიფიცირების პუნქტი

ოცდახუთი. საგუშაგო კომპანია ამასთან ერთად ამტკიცებს და ადასტურებს და ეთანხმება მოახდინოს რატიფიცირება და დაეთანხმოს იმას რასაც წარადგენს ნდობით აღჭურვილი პირი ან მის მიერ დანიშნული მოადგილე ან მოადგილეები, რომლებიც იმოქმედებენ კანონიერად და შეასრულებენ ან მიზნად ექნებათ აწარმოოს საქმიანობა, რომელიც მინიჭებული აქვთ ამ მინდობილობით მათი უფლებამოსილების ვადის დასრულებამდე და ვიდრე აღნიშნული ვადის დასრულების

OFFICIAL TRANSLATOR
EKATERINE MELIKIDZE
A №09625 Reg. №01/90
მკატრინე მელიქიძე
ოფიციალური მთარგმნელი

თაობაზე ეცნობება ნდობით აღჭურვილ პირს ან მოადგილეს ან მოადგილეებს.

**ერთიანი სპეციალური პუნქტი**

ᲝᲪᲓᲐᲔᲥᲕᲡᲘ ზოგადად საგუშაგო კოშკისთვის და მისი სახელით ხსენებული ფაქტიური რწმუნებული და წარმომადგენელი უფლებომოსილია შეადგინოს, აღასრულოს და ყველა სხვა შემდგომი და მსგავსი აქტი, შეთანხმება, საქმე და დოკუმენტი, რომელიც სათანადო, საჭირო და აუცილებელი იქნება ზემოთ ხსენებული მიზნების და განზრახვების სრულად და ეფექტურად განსახორციელებლად, როგორც ამას გააკეთებდა ან შეეძლო გაეკეთებინა საგუშაგო კოშკს.

**მინდობილობის მოქმედების ვადა და შეწყვეტა**

ეს მინდობილობა ძალაში რჩება სრულად და სრული უფლებამოსილების მინიჭებით, მანამ სანამ საგუშაგო კოშკი არ შეატყობინებს აღნიშნულ წარმომადგენელს და რწმუნებულს ან მის დასახელებულ მოადგილეს სხვა წარმომადგენლის და რწმუნებულის დანიშვნის შესახებ. წარმომადგენელმა ან მისმა დასახელებულმა მოადგილემ უნდა გადასცეს სრული უფლებამოსილება საგუშაგო კოშკის მიერ დანიშნულ ამ პირს.

**დასკვნა**

ამის დასამოწმებლად საგუშაგო კოშკი ხელს აწერს და ამოწმებს ბეჭდით ამ დოკუმენტს თავის ოფისში, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: კოლუმბია ჰეიტსი №25, ბრუკლინი, ნიუ-იორკი 11201, ამერიკის შეერთებული შტატები, 2003 წლის 19 აგვისტო.

პენსილვანიის საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოება

**ხელმოწერა**

*ხელმოწერა*

დონ ა. ადამსი, პრეზიდენტი

OFFICIAL TRANSLATOR
EKATERINE MELIKIDZE
A №09625 Reg. №01/90
ეკატერინე მელიქიძე
ოფიციალური მთარგმნელი

(გერბი)

# სახელმწიფო დეპარტამენტი

*მოგესალმებით ყველას, ვინც ამ საბუთს მიიღებს*

ვადასტურებ, რომ წინამდებარე დოკუმენტს აქვს ნიუ-იორკის სახელმწიფო ბეჭედი და ეს ბეჭედ(ებ)ი აღჭურვილია სრული ნდობითა და რწმუნებულებით*.

ამის დასამოწმებლად მე, კოლინ ლ. პაუელი, სახელმწიფო მდივანი აღნიშნული დეპარტამენტის მარწმუნებელი ჩინოვნიკის ასისტენტს მეშვეობით ვადასტურებ სახელმწიფო დეპარტამენტის ბეჭდითა და ჩემი ხელმოწერით ქალაქ ვაშინგტონში, კოლუმბიის რაიონში, 2003 წლის ოცდაერთ აგვისტოს.

ხელმოწერა

სახელმწიფო მდივანი

ხელმოწერა

მარწმუნებელი ჩინოვნიკის ასისტენტი
სახელმწიფო დეპარტამენტი

*გაცემულია შემდეგის თანახმად:*
*CHXIV state of Sept. 15, 1789,1 State. 68-69; 22 USC 2657 22 USC 2651 a; 5 USC 301; 28 USE 1733 et. seq.; 8 USC 1443 (f); RULE 44 Federal Rules of Civil Procedure.*

*დეპარტამენტს პასუხისგებლობა არ ეკისრება თანდართული დოკუმენტის შინაარსზე.

OFFICIAL TRANSLATOR
EKATERINE MELIKIDZE
A № 09625 Reg. №0
ეკატერინე მელიქიძე
ოფიციალური მთარგმ.

ამ სერთიფიკატს მალა ეკარგება დაცალკევებისა და ცვლილებების შეტანის ნებისმიერ შემთხვევაში

# ნიუ-იორკის შტატი

---

*გაცემულია შტატის სახელმწიფო მდივნის* რანდი ა. დანიელსის *მიერ*
*რომელთანაც ინახება სამდივნოს დიდი ბეჭედი*

---

ვადასტურებ, რომ თანდართული სერთიფიკატის გაცემის დღეს *ვილბურ ა*
*ლევინი* მსახურობდა ნიუ-იორკის შტატის *კინგზის* ოლქის საქმეთა
მწარმოებლად და ამავე ოლქის უზენაესი სარეგისტრაციო სასამართლოს
კანცელარიის მუშაკად, რომელიც სათანადოდ უფლებამოსილია გასცეს
ხსენებული სერთიფიკატი; აქვე ვადასტურებ, რომ ბეჭედი, რომლითაც
დამოწმებულია ხსენებული სერთიფიკატი წარმოადგენს ხსენებული ოლქისა-ს
სასამართლოს ბეჭედს; და რომ ხსენებული საქმეთა მწარმოებლის მიერ
ხსენებული დოკუმენტის დამოწმება და გაფორმება განხორციელდა შესაბამისი
წესით და სათანადო თანამდებობის პირის მიერ; და რომ ხსენებული საქმეთა
მწარმოებლის ოფიციალური ქმედებანი შეიძლება და უნდა ჩაითვალოს სათანადო
და დამაჯერებელ ქმედებებად.

*დასტურად წინამდებარე დოკუმენტი დამოწმებულია*

*შტატის დიდი ბეჭდით*

*ვადასტურებ და ხელს ვაწერ ქალაქ ნიუ-იორკში*

*ორი ათას სამი წლის 19 აგვისტოს*

რანდი ა. დანიელსი

*შტატის მდივანი*

---

*ჯეიმს ბიზზარი*
*სახელმწიფო მდივნის მოადგილე საგანგებო საკითხებში*

TRANSLATOR
RINE
IDZE
№01/90

10252950A
03835595. RSL (REV: 2/6/96)

*კინგზის ოლქი*

მე, *ვილბურ ა. ლევინი,* კინგზის ოლქის საქმეთა მწარმოებელი და იგივე ოლქის უზენაესი სარეგისტრაციო სასამართლოს კანცელარიის მუშაკი საკუთარი ბეჭდით ვადასტურებ, რომ *ჰენრი კაბანი,* რომლის ხელმოწერაც შესრულებულია თანდარულ ჩვენების დოკუმეტზე, დადასტურების დოკუმენტზე ან თანდართული დოკუმენტის დამამტკიცებელ საბუთზე, ხსენებული დოკუმენტის გაფორმების დროს წარმოადგენდა ნიუ-იორკის შტატის სათანადოდ უფლებამოსილ, ნაფიც და კვალიფიცირებულ სახელმწიფო ნოტარიუსს, რომელსაც უფლება აქვს იმოქმედოს სახელმწიფო ნოტარიუსის უფლებამოსილებით ნიუ-იორკის შტატის ტერიტორიაზე. ასევე ვადასტურებ, რომ კანონის შესაბამისად, მისი უფლებამოსილების, დანიშვნისა და კვალიფიცირების შესაბამისი მოწმობის დოკუმენტები და მისი ხელმოწერის ნიმუში ინახება ჩემს ოფისში; და, რომ როგორც სახელმწიფო ნოტარიუსი, ნიუ-იორკის შტატის კანონების მიხედვით, იგი სათანადოდ უფლებამოსილია მიიღოს ფიცი და მტკიცებულებანი, დაამოწმოს დამამტკიცებელი საბუთები ან აღიარების დოკუმენტები, გირავნობის, მინდობილობის და სხვა წერილობითი დოკუმენტები მიწის ფართობებთან, ბინის ოჯარასთან, მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მიჩნეულ უნდა იყოს შესაბამის დამამტკიცებელ საბუთად ან რეგისტრაციაში უნდა იქნას გატარებული ამ შტატში; ასევე, გააპროტესტოს განცხადებანი და მიიღოს და დაადასტუროს თავდებობისა და დადასტურების წერილები. აქვე ვადასტურებ, რომ ჩემთვის კარგად ცნობილია ხსენებული სახელმწიფო ნოტარიუსის ხელწერა, რომელიც შევადარე ჩემს ოფისში გაფორმებულ თანდართულ დოკუმენტზე შესრულებულ მის ხელმოწერას, და აქვე ვადასტურებ ამ ხელმოწერის ნამდვილობას.

**დასტურად,** წინამდებარე დოკუმენტს ვაწერ ხელს და ვამოწმებ ხსენებული ოლქის სასამართლოს ბეჭდით 2003 წლის 19 აგვისტოს.

ხელმოწერილია და დამოწმებულია ბეჭდით

OFFICIAL TRANSLATOR
EKATERINE MELIKIDZE
№08625 Reg. №01/90

ხელმოწერა
რ. ე. აბრაჰამსონი საზოგადო
მდივანი და ხაზინადარი

# დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ა

ამერიკის შეერთებული შტატები,
ნიუ–იორკის შტატი,
კინგსის ოლქი,
ქ. ნიუ–იორკი,
ბრუკლინის რაიონი

დადასტურება

ქვემოთ აღნიშნულ დღეს პირადად მოვიდნენ ჩემთან ა. ადამსი და რიჩარდ ე. აბრაჰამსონი, რომელთაც პირა ვიცნობ და რომლებზეც პირადად ვიცი რომ არიან დოკუმენტის ხელმომწერნი და რომლებმაც რამდენჯ დაადასტურეს, რომ მათ ხსენებული მიზნებისთვის მოაწ ხელი. შემდგომ, რიჩარდ ე. აბრაჰამსონმა ფიცის ქვეშ განაცხ რომ: (1) იგი არის პენსილვანიის საგუშაგო კოშკის, ბიბლი და ტრაქტატების საზოგადოების მდივანი და ხაზინადარი აღნიშნული კორპორაციის ბეჭდის მცველი, (2) დონ ა. ად არის პენსილვანიის საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა ტრაქტატების საზოგადოების პრეზიდენტი; (3) ხსენებუ დონ ა. ადამსის და რიჩარდ ე. აბრაჰამსონის ხელმოწერები ა ნამდვილი და უტყუარი; (4) პენსილვანიის საგუშაგო კოშ ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების სახელი ხსენებ დოკუმენტს დაესვა დირექტორთა საბჭოს მიერ მინიჭებუ უფლებამოსილების და კანონის საფუძველზე, და (5) დასმუ ბეჭედი არის ხსენებული კორპორაციის ნამდვილი ბეჭე ზემოთ აღნიშნულის სისწორეს ვამტკიცებ ჩემი ხელმოწერით სამსახურის ბეჭდით 2003 წლის 19 აგვისტოს.

OFFICIAL TRANSLATOR
EKATERINE
MELIKIDZE
A №09625 Reg. №01/90
ოფიციალური მთარგმნელი

ხელმოწერა
სახელმწიფო ნოტარიუსი
ჰენრი კაბანი
სახელმწიფო ნოტარიუსი, ნიუ-იორკის შტა
ნომერი 01CA6003803
უფლებამოსილია კინგზის მხარეში
უფლებამოსილება მთავრდება 3. 09. 2006

ბეჭე

# DEED

## APPOINTING ATTORNEY-IN-FACT

for

## WATCH TOWER BIBLE AND TRACT SOCIETY OF PENNSYLVANIA

Attorney-in-Fact: Genadi Gudadze

For Country of: The Republic of Georgia

Date Executed: August 19, 2003

COUNTY OF KINGS
CITY OF NEW YORK
BOROUGH OF BROOKLYN

ss.:

TO ALL TO WHOM THESE PRESENTS MAY COME, GREETINGS:

Watch Tower

WHEREAS the Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania, the undersigned, hereinafter referred to as Watch Tower, is a corporation organized and existing under the nonprofit corporation laws of the Commonwealth of Pennsylvania, in the United States of America, having its main office in the Borough of Brooklyn, City of New York, and State of New York; and

Chartered Purposes

WHEREAS Watch Tower is duly chartered by law to preach and teach the gospel of God's Kingdom under Christ Jesus unto all nations as a witness to the name, word, and supremacy of Almighty God, Jehovah, and to act as the servant and legal entity for the religious body of Christian persons known as Jehovah's Witnesses, all of which is more particularly shown by the printed copy of said charter that accompanies this document and is made a part hereof by reference as though copied at length herein; and

NOW, THEREFORE, KNOW ALL MEN BY THESE PRESENTS, that Watch Tower, being duly recognized by the laws of the Commonwealth of Pennsylvania and of the United States of America as the servant and legal entity of Jehovah's Witnesses, and, as such, entitled to the rights and privileges accorded to all other corporations and all other religious organizations and denominations, does hereby NOMINATE, CONSTITUTE and APPOINT **Genadi Gudadze**

Name of New Appointee

A citizen and national of **The Republic of Georgia**

Who resides at **Java 1st allee, bldg. 9**
**Tbilisi**
**The Republic of Georgia**

as its true and lawful attorney-in-fact and procurator to act for it and in its name, place, and stead in all the municipalities, districts, counties, parishes, provinces, subdivisions, and states of the country of Georgia for the purposes and with the powers set out below.

General Business

ONE. To represent Watch Tower and generally to manage the affairs and promote the objects of Watch Tower within said country. Said procurator and attorney-in-fact is hereby given and granted full power and authority to perform any, all and every act and thing whatever requisite and necessary to be done as fully to all intents and purposes as Watch Tower and any of its officers could do if personally present in said country. It is the intention of Watch Tower by this document to give to said procurator and attorney-in-fact the fullest power possible to accomplish its intentions and the specific purposes hereinafter expressed and it is not intended by anything hereinafter expressed to limit or cut down such full power of attorney and procuration hereby vested in him, except as to the items hereinafter stricken in ink and initialed by the President of Watch Tower, which shall be taken as withdrawing from the attorney-in-fact and procurator all and any authority in respect to such stricken matters.

General Ecclesiastical

